17/01/2020

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ მოწყალების სახლს ეწვია

უწმინდესმა დაწესებულების ბენეფიციარები და შემომწირველები დალოცა და დაასაჩუქრა, მოწყალების სახლის ხელმძღვანელ მზია კაცაძეს კი აქ გაწეული მრავალწლიანი შრომისთვის მადლობა გადაუხადა.

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული მოწყალების სახლი 1994 წლიდან ყოვლდღიურად 200-მდე გაჭირვებულ ადამიანს ეხმარება; განსხვავებული ეროვნებისა თუ რელიგიური მრწამსის მიუხედავად, აქ ყველა თანაბრად იღებს თანადგომას. 27-ე წელია, ეს ადგილი ბევრისთვის შიმშილისაგან თავის დაღწევის, გადარჩენისა და ნუგეშის ერთადერთი საშუალებაა...

— facebook.com/sazupatriarchate